საქართ. მემარცხენე სოციალფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. □ პროვინც. 5000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, ნოემბრის 22
1922 წ.

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა
ხუთშაბათს 23 ნოემბერს
გენერალური რეპეტიცია
ცხვრის წყარო
დადგმა კ. მარჯანიშვილისა.
დასაწყისი სრულ 8 საათზე
№ 165. 2—1.

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა
ოთხშაბათს 22 ნოემბერს
ურიის ქალი
ხუთშაბათი 23 ნოემბერს
ფაუსტი
დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
№ 166. 1—1

ლოზანას კონფერენცია და საქართველოს საკითხი

რუსეთის რევოლიუციის პროცესში მოპოვებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, ოსმალეთისა და ძველი რუსეთის დაშლის ნიადაგზე შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური აღდგენა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ძალამ, მენშევიზმმა, 1918 წლის 26 მაისში შექმნილ ფაქტიურ დამოუკიდებლობას მხოლოდ ფორმალური ფიქსაცია უყო: ამდენადვე ჩვენ როგორც რუსეთის თებერვლის რევოლიუცია მივიღეთ დეპეშით, აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებლობაც მივიღეთ იმ ძალთა კოლიზიის შედეგად, რომლებიც 1918 წელს განაგებდენ საერთაშორისო პოლიტიკის მიმართულებას.

ამის აღნიშვნით, რა თქმა უნდა იმას არ ვამბობთ, რომ მხოლოდ მექანიურმა კომბინაციამ შვა საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართველ ხალხს არავითარი როლი არ შეუსრულებია მის გამტკიცების საქმეში, რასაკვირველია, არა. ქართველი ხალხის მოქმედებამ მხოლოდ ხელი ჩასჭიდა ობიექტიური პროცესის მიერ წარმოშობილ მოვლენას და მის უზრუნველყოფას მოანდომა თავისი შემოქმედება.

მაშასადამე ობიექტიური პირობების მიერ წარმოშობილ საქართველოს დამოუკიდებლობას შეეძლო ქართველი ხალხის სუბიექტიური სამზადისი ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა და ამ მიზეზთა შედეგად მივიღეთ საქართველოს ფაქტიური დამოუკიდებლობა.

ცხადია ფაქტიური დამოუკიდებლობას იურიდიული ცნობაც უნდა მოყოლოდა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, რომ ვიმსჯელოთ განყენებულად, მაგრამ ამ სამართალს თავისი განყენებული კონცეპციით არც ერთი ერი არ გაუნთავისუფლებია და იგი სდუმდა როგორც მაშინ, როდესაც ინგლისი ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა ბურებს, შედიოდა ეგვიპტეში, თარეშობდა ინდოეთში და აზიისა და აფრიკის უდაბნოებს ანაყოფიერებდა მკვიდრთა სისხლით, ისე მაშინაც, როდესაც ერთდებოდა გერმანიის სამთავროები პრუსიის სასარგებლოდ ან სამად იყოფოდა პოლონეთის სამფლობელო პრუსიის, ავსტრიისა და რუსეთის მიერ პოლიტიკურ „წონასწორობის“ დამყარების მიზნით.

ამ მხრივ ცხადია ლეგენდარი კოლხიდა ვერ ეღირსებოდა იურიდიულად ცნობას ევროპის იმპერიალისტების მიერ, თუ არ იქნებოდა სხვა მოტივი ცნობისათვის გარდა „სამართლისა“ და „სამართლიანობისა“. და მართლაც წითელ ვარსკვლავოსანი ჯარის კაცის მოგზაურობა აზიისაკენ, რომელიც ნელი ნაბიჯით უახლოვდება ამიერ-კავკასიას და პირდაპირ ხიდს დებდა ანატოლიის მოძრაობასა და რუსეთის რევოლიუციის შორის, გახდა მიზეზი მოკავშირეთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის, რომლითაც უნდა აღმართულიყო ზღუდე რუსეთის რევოლიუციისა და ანატოლიის მოძრაობის შორის.

მენშევიკური მთავრობის „არც აქეთ, არც იქეთ“ პოლიტიკა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ საერთაშორისო ძალთა დაპირისპირებას ამიერ-კავკასიის მაშტაბში—საერთოდ და საქართველოს მაშტაბში—კერძოდ, არ მიეღწია ჯერ კიდევ თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს, როცა კი საერთაშორისო ძალები თავის გავლენას გაავრცელებდენ ევროპისა და აზიის ზღუდე-ხიდზე, ცხადია „არც აქეთ, არც იქეთ „პოლიტიკა“ უსუსური ბალღის ფრაზეოლოგიათ იქცეოდა.

ამ გარემოებას კარგად გრძნობდა მენშევიკური მთავრობაც და ამიტომ იყო, რომ იგი აღმოსავლეთის ბარბაროსების“ ნაცვლად „დასავლეთის იმპერიალისტებს“ უწვდიდა ხელს და დასავლეთის ორიენტაციით, ერთა ლიგის საშუალებით ცდილობდა გაემაგრებინა თავისი სამფლობელო.

დღეს უკვე ფაქტია ამ პოლიტიკის ძირეული შეცდომა და მისი სავსებით დამარცხება. იურიდიულად ცნობილ საქართველოს ევროპის მიერ არ მოეშველა ინგლისის ფარაჯაში გახვეული ჯარის-კაცი, რადგან ეს ევროპის პოლიტიკის ჰეგემონთათვის ობიექტიურად შეუძლებელი იყო. მენშევიკურმა ძალამ ისევ იმ მხარეს მიაშურა, რომლის ორიენტაციის აღებით დაკარგა თავისი ხელისუფლება და საერთაშორისო სამართლის გზით შეეცადა საქართველოს საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას.

პირველი ასეთი ცდა გენუას კონფერენციამ მოისმინა, როდესაც პუანკარეს რწმუნებული ბარტუ საქართველოს სუვერენობაზე ალაპარაკდა. ბარტუ, იმ საფრანგეთის წარმომადგენელი გახდა გენუაში, რომელიც წინააღმდეგი იყო პირველად საქართველოს იურიდიულად ცნობისა, რადგან მაშინ საფრანგეთს კიდევ ჰქონდა იმედი „მთლიანი რუსეთის“ აღდგენისა, საიდანაც უეჭველად მიღებული იქნებოდა მის მიერ ჩაყრილ კაპიტალის ანაზღაურება მუშათა კლასის ხარჯზედ.

გენუას კონფერენციაზე კი ესევე საფრანგეთი უპირისპირდებოდა საბჭოთა რუსეთს და ერთ ერთ საკითხად მისთვის გამოსადეგი გახდა საქართველოს საკითხი ამ დაპირისპირების პროცესში.

მკითხველს ისიც მოეხსენება, რომ გენუას კონფერენციაზე მენშევიკურმა ძალამ ზრდილობიანი უარი მიიღო მათ სასარგებლოდ საკითხის დასმისათვის და ამ უარის მოტივაცია კი მდგომარეობდა მასში, რომ საქართველო არ მდებარეობს ევროპის კონტინენტზე, ხოლო გენუას კონფერენცია ევროპიულ სახელმწიფოთა კონფერენცია არისო. გასაგებია, რომ თავის პოლიტიკის დამარცხებას კარგად იგრძნობდა აქ. ჩხენკელი, რომელიც ამავე გენუას კონფერენციაზედ ჩხენკელზე მეტად აშკარა პოზაში იდგა იაპონიის დიპლომატები და მას სხვა არაფერი დარჩა, რომ მოკავშირეებისათვის მოეგონებინა; რომ ბაქოში არსებობს ნავთი და საქართველოში მარგანეცი, რომელიც თქვენთვის საჭირო არისო.

საქართველოს საკითხის გვერდის ავლა თუ მაინც ხდება გენუაში, ასეთი რამ შეუძლებელი გახდებოდა ლოზანაში და ცხადია საქართველოს მოწვევის საკითხი პირდაპირ დაისმოდა. ცხადია ამ საკითხის დასმის დროს ევროპის იმპერიალისტებისათვის ისმოდა ორი საქართველოს საკითხი. თუ ისინი დარჩებოდნენ მენშევიკურ საქართველოს იურიდიულად ცნობის აქტის ნიადაგზე, იძულებული გახდებოდნენ, რომ კონფერენციაზე მიეწვიათ მენშევიკური ძალა, მაგრამ რეალური ინტერესი მოითხოვდა არა მენშევიკური ძალის დაშვებას, არამედ საბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის აუცილებლობას.

ცხადია თუ ლოზანას კონფერენციის დადგენილებანი სავალდებულო არ გახდებოდა საბჭოთა ქვეყნებისათვის, ეს კონფერენცია დაკარგავდა მნიშვნელობას და საბჭოთა რუსეთის საპროტესტო ნოტამ ამ მხრივ თავისი ნაყოფი გამოიღო.

თუ პირველად ევროპა საჭიროდ არ სცნობდა „კრემლის ყაჩაღებს“, შემდეგ იგი იძულებული გახდა, რომ გენუას კონფერენციაზედ მიეწვია ეს „ყაჩაღები“ და ეხლა კი ლოზანაშიაც მას იწვევენ არა მარტო სრუტეების საკითხის განსახილველად, არამედ დადგენილებაშიაც მონაწილეობის მისაღებათ და მასთან დაკავშირებულ საკითხების აღძვრის უფლების მინიჭებით.

რაიმონდ პუანკარეს შეურიგებელი პოლიტიკა დათმობაზედ მიდის საქართველოს საკითხშიაც და საბჭოთა რუსეთის დელეგაციაში შესაძლებლად სცნობს, რომ იქნეს საქართველოს და უკრაინის წარმომადგენელიც. ეს უკანასკნელი სასიკვდილო განაჩენია ზოგი ზღვით გაქცეული პოლიტიკური სპეკულიანტების, რომელნიც უკანასკნელ იმედს ამყარებდენ პუანკარეს შეურიგებელ პოლიტიკას და საერთაშორისო სამართლის დოგმებს.

საქართველოს ფაქტიურად ცნობას უდრის მისი დაშვება ლოზანას კონფერენციაზედ, ხოლო ეს უდრის ფაქტიურად მენშევიკების პოლიტიკის სრულ დამარცხებას და მათ იურიდიულად ცნობის აქტის ანულიაციას.

სხვა გზით არც შეიძლებოდა წასულიყო პოლიტიკური მოვლენათა განვითარება საქართველოს საკითხის ირგვლივ. დღეს გამწვავებული პოლიტიკური კრიზისებია ევროპის კონტინენტზედ. ეს კრიზისები მრავლის მეტყველია ჩვენთვის, რომლის შესახებ მეორე წერილში ვისაუბრებთ.

ხერ. ამალობელი.

ნარკვევი

პოლიტიკური პარტიები 5 წლის განმავლობაში. მოსკოვის „იზვესტია“ თავის სადღესასწაულო ნომერში ეხება პოლიტიკური პარტიების ცვალებადობას რუსეთის რევოლიუციის ხუთი წლის განმავლობაში მოგვყავს შემოკლებით:

5 წლის წინათ რუსეთის პოლიტიკურ არენაზე იბრძოდა შემდეგი პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები:

1) ბოლშევიკები. 2) ესერები, რომლებიც მაშინ ორ პარტიას წარმოადგენდნენ: მემარცხენე და ძველ ესერულ პარტიას. ეს უკანასკნელიც არ იყო მთლიანი და მასში ირჩეოდენ მემარჯვენეები (ავქსენტიევი, ბუნაკოვი, არგუნოვი), ცენტრი (გოცი, ზენზინოვი) მემარცხენე ცენტრი (ჩერნოვი), პარტიული მემარცხენე (კამკოვ-ბერნშტეინი). 3) სოციალ-დემოკრატები, რომელიც შესდგებოდა: მენშევიკ-გამაერთიანებლებისაგან, რომლებიც იყოფოდნენ მემარჯვენეთ (ლიბერ პოტრესოვი) ცენტრათ (დან-აბრამოვიჩი) და მემარცხენეთ (მარტოვი და მარტინოვი); უკიდურესი მარცხენა ფრთისა ეკავათ „გაერთიანებულ ს.-დ. ინტერნაციონალისტებს (ავილოვი, ბაზაროვი, სუხანოვი, კრამაროვი და სხვ... უკიდურეს მარჯვენა ფრთაზე იყო „ედინსტვოს“ ჯგუფი — პლეხანოვისა. 4) „მშრომელი სახალხო-სოციალისტური პარტია“ მემარჯვენე ფრთა ნაროდნიკებისა. 5) კადეტები, რომელშიც სამი მიმდინარეობა იყო: მარჯვენა (მაკლაკოვი), ცენტრი (მილიუკოვი) და მარცხენა (ნეკრასოვი). 6) „პროგრესიული ნაციონალისტები“ (შულგინი), „ზომიერი მემარჯვენენი“, სხვა და სხვა ჯურის შავრაზმელები. 7) ანარქისტები: ანარქო-სინდიკალისტები და ანარქო კომუნისტები.

ყველა ამ პარტიებიდან მხოლოდ მემარცხენე ესერების პარტიის მნიშვნელოვანი ნაწილი უწევდა აქტიურ დახმარებას ბოლშევიკებს. ყველა წვრილ-ბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულ მემამულეთა პარტიებმა შექმნეს მთლიანი ბრძოლის ფრონტი ბოლშევიკების წინააღმდეგ. ბრძოლა სწარმოებდა შეიარაღებული საშვალებით ორ ცენტრში; პირველი—გენ. კრასნოვის არმია იყო: მეორე—„სამშობლოსა და რევოლიუციის ხსნის კომიტეტი“.

მემარცხენე ფრთა „დემოკრატიისა“ (ცენტრის მენშევიკები და მემარცხენენი ს.-დ. ინტერნაციონალისტები, მემარცხენე ესერები) აწარმოებდენ კამპანიას შეთანხმებისათვის. ბურჟუაზიას სურდა შუა წრეები გამოეყენებია ბოლშევიკურ პარტიების რიგებში რღვევის შეტანისათვის, რაც მათ რამოდენიმედ შეძლეს... მაგრამ რევოლიუციონური მასა ურყევად იდგა, ის გადაჭრით მიდიოდა ბოლომდე მას არ სურდა გახრწნილი კომპრომისი და ამიტომ შეძლო მან გამარჯვება.

რომ თვალი გადავავლოთ რუსეთის პოლიტიკური პარტიების მიერ განვლილ ეტაპებს ამ 5 წლის განმავლობაში, შემდეგ სურათს მივიღებთ:

მემარცხენე ესერები. ოქტომბრის პირველ დღეებში „თავს იკავებს“. გადატრიალების შემდეგ აწყობს ოპოზიციას, მაგრამ საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცების შემდეგ, 12 დეკემბერს 6 მემარცხენე ესერი მთავრობაში შედის. ბრესტის ხელშეკრულების შემდეგ პარტიის უმრავლესობა ისევ ოპოზიციაში გადადის და მისი წარმომადგენლები მთავრობიდან გამოდიან.

ივლისში 1918 წელსა, გრ. მირბახის მკვლელობა, რომელმაც გამოიწვია განხეთქილება პარტიაში და გამოყოფა „ნაროდნიკ-კომუნისტებისა“ და შემდეგ „რევოლიუციონური კომუნიზმის“ პარტიისა. ამის შემდეგ პარტია კარგავს გავლენას მასებზე და მისი წევრები თითოეულად და ჯგუფად კომპარტიაში გადიან. ერთი მისი ნაწილი „აქტივიზმში“ ვარდება და ანარქისტულ აჯანყების მხარეზე ხდება.

1920 წელს აყენებენ ლოზუნგს „შეთანხმებისას“. მაგრამ ფაქტიურათ გრძელდება ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

1921 წელს პარტიაში ცალცალკე გაერთიანებული ფრაქციები, უმრავლესობაც და უმცირესობაც აცხადებენ შეთანხმებითა გაქრობას. უცხოეთში ყავთ პარტიული დელეგაცია, შედიან ვენის ინტერნაციონალში; სცემენ ჟურნალ „ზნამიას“. პარტიის ლოზუნგია: „თავისუფალი საბჭოები“. ამ ჟამათ მემარცხენე ესერები ინტელიგენტების ჯგუფს წარმოადგენენ, რომელიც თავის ადგილს სინდიკალიზმსა და მენშევიზმს შორის ეძებს. გარეგნულათ ეს იმაში გამოიხატება, რომ ისინი შედიან ვენის ინტერნაციონალში, ამავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებენ... მე 4 ინტერნაციონალის შესაქმნელათ: სინდიკალისტებისა და მემარცხენე კომუნისტებისაგან.

მენშევიკების პარტია. ოქტომბრის შემდეგ მენშევიკი „ინტერნაციონალისტები“ (მარტოვი) შეუერთდნენ „რევოლიუციონურ ობორონცებს“ (დანი) და „ობორონცებს“ (ლიბერი). პირველ დღეებში გამოსთქვამდენ „შეთანხმების“ სურვილს, რათა ამით განხეთქილება გამოეწვიათ ბოლშევიკებში.

1918 წელს მენშევიკები იღებენ ლოზუნგს: „ბოლშევიკების წინააღმდეგ [illegible] სტიქიის ორგანიზაციას“. 1919 და 1920 წლებში პარტია უჭირავს მსოფლიო რევოლიუციის კურსი, რუსეთისათვის აყენებს ლოზუნგს „ძალაუფლება მშრომელებს“ და სხ.

1920 წლის ბოლოდან მენშევიკები მარჯვნივ უხვევენ და 1922 წლის შემდგომისთვის გამოდის, როგორც რევოლიუციის ლიკვიდაციის პარტია.

მემარჯვენე ესერების პარტია. საბჭოებს მემარჯვენე ესერების სახით შეურიგებელი მტერი ყავს. ოქტომბრის 22 იუნკრების აჯანყება, სამარის აჯანყება და ჩეხო-სლოვაკიის ფრონტი, ვოლოდარსკის მკვლელობა და ლენინის დაჭრა, 1920 წლის აჯანყებანი, კრონშტადტი, „ადმინისტრატიული ცენტრის“ ცდა სამხრეთ აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთ ფრონტის შექმნისა,—აი მთავარი ეტაპები ესერების საქმიანობისა. 1918 წ. მაისში პარტიის მერვე საბჭო სწყვეტს დაიწყოს ბრძოლა საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. 1919 წელს პარტიაში ხდება განხეთქილება შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკის გარშემო და მე-9 საბჭო აცხადებს შეიარაღებული ბრძოლის დროებით შეჩერებას. წინააღმდეგი შეიარაღებული ბრძოლისა იყვნენ ყოფილი ხელმძღვანელნი ჩეხო-სლოვაკიის ფრონტისა (რაკიტნიკოვი, სვიტიცკი, ბურევოი, ვოლსკი, შმელევი), რომელთაც შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაცია: უმცირესობა ესერებისა (ჯგუფი „ხალხი“).

1920 წლის სექტემბერში ბრძოლა ისევ იწყება, 1922 წელს ესერების პარტია ისევ აცხადებს „სრულ შეურიგებლობას“ საბჭოთა ძალაუფლებისადმი. ეს შეურიგებლობა მით უნდა აიხსნას, რომ ესერების პარტია უკვე გლეხობისაგან აღარ შესდგება. იქ მხოლოდ ქალაქის მეშჩანები და ინტელიგენცია ეხლა დარჩენილი.

კადეტები. ესერებისა და მენშევიკების ზურგს უკან იმალებოდნენ. ისინი იქ და მაშინ გამოჩნდებოდნენ სად და როდესაც „დემოკრატია“ უძლური იყო რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. თეთრი გენერლების „დემოკრატიულობათ“ [illegible] კადეტები. თეთრების დამარცხების შემდეგ მილიუკოვი მიდის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიის შექმნისაკენ: მემარჯვენე კადეტების ირგვლივ იქმნება ახალი პარტია ნაციონალ-ლიბერალებისა.

მონარქისტების სოციალური საფუძველი—საკუთრება მიწისა, გაუქმებულია. ესენი იმდენად არიან საშიშნი, რამდენადაც წარმოადგენენ კონტრ-რევოლიუციის საბრძოლველ ძალას.

წვრილმა პარტიებმა მრავალი განხეთქილებანი განიცადეს და მრავალი მათგანი დაიშალა: ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ წავიდა.

დარჩა მხოლოდ მთლიანად კომუნისტური პარტია. წინასწარმეტყველება „ბრძენთა“ არ გამართლდა; მან შეძლო უმაგალითო ბრძოლების გადატანა და გამარჯვება.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ახლო აღმოსავლეთი და მოკავშირენი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი წინადადებას აძლევს მოკავშირეებს, რათა მათ გამონახონ ევროპის სახელმწიფოებთან შეთანხმებული მოქმედება ევროპის კოლონიებისა და ქრისტიანების დასაცავად კონსტანტინოპოლში. გაზეთის აზრით ამერიკის დახმარება ამ საკითხში უზრუნველყოფილია. გარდა ამისა მონაწილეობა უნდა მიიღონ სკანდინავიის სახელმწიფოებმა და ჰოლანდიამაც; რუმინია და სამხრეთ-სლავიაც გამოეხმაურებიან ამ მოწოდებას, თუ დაინახავენ მოკავშირეების სოლიდარულ მოქმედებას. რუმინიას—განაგრძობს გაზეთი—ჰყავს მშვენიერი ჯარი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დაუყოვნებლივ.

საფრანგეთის მთავრობა და მთავარი შტაბი მოითხოვენ, თუ აუცილებელი იქნება, დაუყოვნებლივ გამოცხადებას მოკავშირეებისაგან კონსტანტინოპოლში სამხედრო მდგომარეობისას. მუსოლინი სავსებით ეთანხმება მოკავშირეებს და თანახმაა სამხედრო თანამშრომლობაზედ მათთან.

როგორც „დეილი ტელეგრაფის“ პარიზელი კორესპონდენტი აღნიშნავს, პუანკარეს პოლიტიკის ცვლილების დამამტკიცებლად შეიძლება ჩაითვალოს მისი თანხმობა მარშალ ფოშთან სამხედრო ზომების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ თურქები მოიწადინებენ ევროპაში

გადასვლას. ხმებით, ფოშმა განუცხადა პუანკარეს, რომ სამხედრო დაცვა ბოსფორისა და დარდანელის არ წარმოადგენს არავითარს გასაჭირს.

— **თურქების პოზიცია კონფერენციაზე.** „დეილი ტელეგრაფის" პარიზელ კორესპონდენტს მოჰყავს ქემალ-ფაშის განცხადებანი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთის დელეგაციამ სამშვიდობო კონფერენციაზე შეიძლება დაიცვას შემდეგი მოთხოვნილებების შესრულება: 1) აუცილებლად ცნობა ოსმალეთის დამოუკიდებლობისა. ოსმალეთი მოითხოვს, რომ მის საზღვრებში იქმნეს შეტანილი ყველა ტერიტორიები, რომელნიც დასახლებულნია თურქებით. უნდა შეიქმნეს სრულიად დამოუკიდებელი ოსმალეთი, მასთანვე უნდა გაუქმებული იქმნეს რეჟიმი კაპიტულიაციისა; 2) იზიარებს რა პრინციპში მოთხოვნილებას სრუტეების თავისუფლების შესახებ, ოსმალეთი თავის მხრით მოითხოვს უზრუნველყოფას კონსტანტინოპოლისა და მარმარილოს ზღვის. აღიარებს რა რომ საკითხი სრუტეების შესახებ უნდა გადაწყდეს არა მარტო ოსმალეთის სახელით, არამედ საერთო ევროპიული ინტერესების მიხედვითაც ოსმალეთის დელეგაცია მიიღებს მოკავშირეების მიერ შემუშავებულს გეგმას კონფერენციის მოღვაწეობის შესახებ. ახა სიათებს რა შემდეგ ანგორის მთავრობას, ქემალი აცხადებს: „ჩვენი მმართველობითი სისტემა—არის სისტემა წმინდა დემოკრატიისა. ის შეფარდებულია ხალხის მოთხოვნილებების უშუალო დაკმაყოფილებასთან, რომლის ხელშიაც თავმოყრილია ქვეყნის მთელი მმართველობა. მაშასადამე ოსმალეთის ხალხი თვით განაგებს თავის ბედს.

„კაპიტულიაცია უნდა იქმნეს დაცული" „დეილი ტელეგრაფი" მოწინავეში სწერს: „დღევანდელი პოზიცია ოსმალეთის ნაციონალისტებისა არის ფატალური როგორც მათთვის, ისე ევროპისათვისაც. კომერციული ინტერესები მთელი მსოფლიოსი იმყოფება საშიშროებაში. კაპიტულიაცია აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, გაგება სამართლიანობისა აღმოსავლეთისა და დასავლეთში სრულებით სხვა და სხვა გვარია, ამიტომ ურთიერთობა ევროპიელებისა ოსმალებთან შესაძლებელია მხოლოდ კაპიტულიაციის საშუალებით. თავისი პოლიტიკით ხალიფატის მიმართ, ქემალმა შეიტანა განხეთქილება მუსლიმანთა რიგებში და ამით დაჰკარგა უკანასკნელი შესაძლებლობაც მოუწოდოს ისლამს სამღვთო ომისაკენ. დამოუკიდებლად ბრძოლა ევროპასთან ოსმალეთს არ შეუძლია.

ახლო აღმოსავლეთი

ლოზანის კონფერენციის გახსნის წინ.

მანჩესტერი. 21 ნოემბერი. ლონდონში გამოაქვეყნეს ის წინადადებები, რომელნიც მუსოლინიმ წარუდგინა წინასწარ კონფერენციას ტერიტეტში: 1) თავისუფალი მიმოსვლა დარდანელში, 2) ქრისტიან უმცირესობათა დაცვა, 3) დარდანელის რაიონში ნეიტრალური ზონის დაწესება, 4) ევროპის ოსმალეთში ოსმალების განიარაღება, 5) ოსმალეთის ვალებზე საერთაშორისო კონტროლის დაწესება, 6) ოსმალეთის რკინის გზების გაერთიანება, 7) პლებისციტი თრაკიაში, 8) მოსულში არავითარი ცვლილების მოხდენა, 9) ოსმალეთის სასამართლო დაწესებულებებთან შერეული კომისიის დაწესება უცხო ქვეშევრდომთა საქმეების გასარჩევად.

ბორდო. 21 ნოემბერი. გაზ. „მატენის" ცნობით, ტერიტეტში მიხვედრამ დიპლომატიურ მუსოლინის, პუანკარეს და კერზონის შეხვედრამ ერთსაიროობა მოკავშირეთა წარმომადგენლები შეთანხმდენ წერილობით კონფერენციას დასამტკიცებლად მოაწოდონ შემდეგი წესრიგი: კონფერენციაზე წარმომადგენლობა მიენდოს რიგ-რიგობით ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგატებს 2) შედგენილ იქნეს 3 კომისია და საფრანგეთი-იტალია და ინგლისის პრესის ბიურო,

ბორდო. 21 ნოემბერი. გაზეთების ცნობით, მუსოლინის დღეს უნდა გაემართა თათბირი სერბო-სლოვენიის გარეშე საქმეთა მინისტრ პაშიჩთან.

პარიზი. 21 ნოემბ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, დილით გამართულ თათბირზე მუსოლინიმ გამოსთქვა თავისი შეხედულება ინგლისის მანდატის შესახებ. ის ფიქრობს, რომ სევრის ხელშეკრულება არ არის იტალიისათვის საკმაოდ ხელსაყრელი და მისთვის სასურველი იქნებოდა, რომ იმ ტერიტორიალური უპირატესობათა სამაგიეროთ, რომელიც მინიჭებული აქვს საფრანგეთს სირიაში და ინგლისს პალესტინაში, იტალიას გადაეცეს ეგეოსის ზღვის სანაპირო ქალაქები, რომელნიც მოკავშირეთა გადაწყვეტილების თანახმად ოსმალეთს აღარ დაუბრუნდება.

პარიზი, 21 ნოემ. გუშინ დილით პუანკარემ იქონია თათბირი ისმეტ-ფაშასთან, ხოლო საღამოს გამართა კერზონის და მუსოლინის საპატივცემულო სადილი.

პრესის განწყობილება.

მანჩესტერი. 21 ნოემ. ლოზანის კონფერენციის გახსნის წინ ინგლისის პრესა მდგომარეობას გამოურკვევლად და უიმედოდ სთვლის.

ჰანოვერი. 21 ნოემ. პარიზის პრესაც აგრეთვე აღნიშნავს, რომ კერზონის, პუანკარეს და მუსოლინის შორის მომხდარი წინასწარი თათბირის მიხედვით, მოკავშირეთა შორის შეთანხმება არ ყოფილა მიღწეული და პრესა სკეპტიკურად უყურებს კონფერენციას. გაზ. „პტი-პარიზიენი" სწერს: „ლოზანის ატმოსფერა ძალიან დამძიმებულია. ოსმალები, თუმცა ჯერ-ჯერობით არაფერს არ ამბობენ თავის პირობების შესახებ, მაგრამ ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ მან გაიგო მოკავშირეთა შეთანხმების შესახებ, მაგრამ აქედან იმის თქმა არ შეიძლება, რომ ოსმალები თანახმანი იყვნენ ამ შეთანხმებისა".

ბალკანეთში.

ჰანოვერი. 21 ნოემ. ბელგრადიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სტამბოლიისკის ბუქარესტში და ბელგრადში გამგზავრებამ შემდეგი შეთანხმებით დამთავრდა: 1) ბულგარეთის სრული ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ დაიწყება ომი რუმინიასა და საბჭოთა რუსეთს შორის, 2) ბულგარეთის მიერ უარის თქმა მაკედონიაში ტერიტორიალურ პრეტენზიებზე, 3) ბულგარეთი ვალდებულია ჩაქროს ყოველგვარი აჯანყება ქვეყანაში, 4) რუმინია, სერბია და საბერძნეთი აძლევენ ბულგარიას ნავთსადგურ დედეაგაჩის სარგებლობას და რუმინიის მიერ დაპირებულ ვიწრო ზონის შექმნის გარანტიას ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის ოსმალეთის ხარჯზე. 5) ბულგარეთს ეძლევა უფლება ახლო მომავალში შევიდეს მცირე ანტანტის შემადგენლობაში.

ლოზანის კონფერენცია

მოსკოვი 21 ნოემბერი. ლოზანაში მოხდა წინასწარი თათბირი კერზონის, პუანკარეს და იტალიის წარმომადგენლის პარიზში ელჩის შორის, ყველა საკითხებში მიღწეულია შეთანხმება. ეხება რა პუანკარეს და კერზონის შეთანხმებას, საფრანგეთის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოსმალეთს დაუპირისპირდება მოკავშირეების ერთიანი ფრონტი.

მოკავშირეები და ახლო-აღმოსავლეთი

მოსკოვი 21 ნოემბერი. „ფიგაროს" კორესპონდენტს საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ ის სავსებით იზიარებს პუანკარეს თვალსაზრისს ახლო აღმოსავლეთში დაუყოვნებელი ენერგიული ზომების მიღების შესახებ.

საბერძნეთში

მოსკოვი 21 ნოემბერი. საბერძნეთის ყოფილ პრეზიდენტ-მინისტრს გუნარისს და გენერალ დუსმანისს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა.

ლოზანის კონფერენციის გახსნა.

კროიდონი. ნოემბ. 21. გუშინ, შვეიცარიის პრეზიდენტმა ჰაბმა ოფიციალურად გახსნა საზავო კონფერენცია და მიესალმა დელეგატებს; მისალმების საპასუხოდ ლორდ კერზონმა და ისმეტ-ფაშამ წარმოსთქვეს სიტყვები, სხდომა ცოტა ხანს გაგრძელდა.

ხალიფა.

კროიდონი, 21 ნოემბერი. ოსმალეთის დიდმა ეროვნულ ყრილობამ 148 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 3 ხმისა, რომელიც მიცემულია პრინც სელიმის სასარგებლოდ და 2 პრინც აბდულ რახიმის სასარგებლოდ, ოსმალეთის ხალიფად აირჩია პრინცი აბდულ მეჯიდი.

პარიზი, 21 ნოემბ. სტამბოლის ცნობით, გუშინ ქემალ ფაშამ შეატყობინა აბდულ მეჯიდს, რომ იგი არჩეულია ხალიფად.

კროიდონი, 21 ნოემბ. ახალ ხალიფის საცხოვრებელი ადგილი ჯერ არ არის გამორკვეული.

უცხოეთი

იტალიის დეპუტატთა პალატაში.

მოსკოვი, ნოემბრის 21. პარლამენტში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში მუსოლინიმ სთქვა: იტალიის ხალხი მორჩილად ადგენს ახალ მთავრობას არა პარლამენტარული გზით. რევოლუციას თავისი უფლებები აქვს. მე შემეძლო გადამექცია სა პარლამენტო დარბაზი ფაშისტური ჯარების ბანაკად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ მესაჭიროება ისე როგორც არ მესაჭიროება პარლამენტის უმრავლესობა. იტალია არ უღალატებს მოკავშირეებს. მაგრამ საჭიროა გამოირკვეს არსებობს თუ არა ანტანტა სინამდვილეში. იმ შემთხვევაში თუ გამოირკვა, რომ ანტანტა არ არის თანასწორ-უფლებით აღჭურვილ სახელმწიფოების კავშირი, იტალია დაიტოვებს მოქმედების თავისუფლებას თავის ინტერესების დასაცავად.

გაცხარებული კამათის შემდეგ იტალიის დეპუტატთა პალატამ მუსოლინის ნდობა გამოუცხადა 306 ხმით წინააღმდეგ 116-ისა.

მუსოლინის განცხადება

მოსკოვი 21 ნოემბერი. გაზ. „ჟურნალის" კორესპონდენტი საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, მხარს უჭერს რა საყოველთაო კენჭის ყრას, იგი ფიქრობს, რომ კვალიფიციურ ინტელიგენციას უნდა მიეცეს უპირატესობა მცხოვრებთა დაბალი ფენების წინაშე და ქალებს კი სრულად უნდა წაერთვას საარჩევნო უფლებები.

საფრანგეთი და ვრანგელი

მოსკოვი 21 ნოემ. ვრანგელის არმიის საბოლოო ლიკვიდაციის გამო საფრანგეთის მთავრობამ წარადგინა დეპუტატთა პალატაში ანგარიში ვრანგელის დასახმარებლად დახარჯულ თანხების შესახებ. ეს თანხები უდრის 150 ნახევარ მილიონ ფრანკს

ერთიანი ფრონტის გამო

მოსკოვი 21 ნოემ. კომპარტიის წინადადების საპასუხოდ პოლიტიკური ამნისტიის მოსაპოვებლად ბრძოლის ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ განაცხადა, რომ კომპარტიის დროებითი ცეკა არ არის აღჭურვილი საკმაო რწმუნებებით ამგვარ წინადადებების შემოტანისათვის.

— კომპარტიის მემარცხენე „ჯგუფი წერილში, რომელიც მოთავსებული იყო „იუმანიტე"-ში აცხადებს, რომ ის სავსებით უერთდება ცეკას წინადადებას, რომელიც აღჭურვილია ყველა რწმუნებებით.

დეპუტატი რიბაცკი.

მოსკოვი. ნოემბ. 26. დაპატიმრებული პოლონეთის სეიმის დეპუტატი რიბაცკი განთავისუფლებულია 50,000 მარკის გირაოს ქვეშ. გირაოს სიმცირე აიხსნება მთავრობის შიშით აღშფოთებულ მუშათა მასების წინაშე.

რუსეთი

ხის დამმუშავებელთა კონფერენცია.

მოსკოვი. ნოემბ. 21. მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის ხის დამმუშავებელთა მე-V კონფერენცია. კონფერენციის გახსნას დაესწრნენ იტალიის, გერმანიის და შვეიცარიის რევოლუციონურ ხის დამმუშავებელთა წარმომადგენლები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია რომელშიაც აღნიშნულია, რომ მუშათა კოოპერაცია ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს მასზე დაკისრებულ იმედებს. ხელფასის რეალიზაცია ხდება მუშის ინტერესების საზიანოდ. აუცილებელი საჭიროების საგნები არ მოიპოვებიან კოოპერატიულ ორგანიზაციებში, — ასეთი ანორმალური მდგომარეობა უნდა მოისპოს. რამდენადაც უნდა მივაღწიოთ, რომ სამეურნეო ორგანოებმა ხელფასის უმეტესობით ნაწილი ერთი თვით წინ შეიტანონ კოოპერატივებში. კოოპერატივები ვალდებულნი არიან მიაწოდონ მუშებს პროდუქტები ხელფასის ანგარიშში. პროფესიონალური ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ მუშებს მიეცეს შესაძლებლობა ნაწილობრივი გადახდის საშუალებით შეიძინონ პირველ საჭიროების ძვირად ღირებული საგნები.

ახალი ამბები

— **იბეჭდება და სულ მოკლე ხანში გამოვა იაკ. გოგებაშვილის „Русское Слово" 1-ლი ნაწ.** გამოცემა **წ.-კ. გ. საზოგადოებისა. დაკვეთა შეიძლება ეხლავე საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა ნომერი 5).**

— **ბავშვების განაწილება.** სახალხო განათლების კომისარიატის სოციალურ აღზრდის მთავარ-მმართველობამ მოახდინა განკარგულება, რათა ყველა საბავშვო სახლებში შესწყდეს მცირე წლოვანთა უფლებრივი დაცვის განყოფილების განკარგულების გარეშე ბავშვების მიღება, ვინაიდან თითქმის 6 თვეზე მეტია, რაც განათლების კომისარიატმა გახსნა ტფილისში ქუჩისა და საზოგადოთ უმწეო ბავშვებისათვის კოლლექტორი—გამანაწილებელი, რომელიც აწარმოებს ბავშვებზე დაკვირვებას მათი ხასიათის თვისებების და მორალური დეფექტების გამოსარკვევად შესაფერ საბავშვო დაწესებულებებში გასანაწილებლად.

მაგრამ კოლლექტორიდან ბავშვთა მოძრაობა სრულებით არ სწარმოებს, რადგან ახალი სახლები არ იხსნება და არსებულ სახლებში კი თავისუფალ ადგილებზე ბავშვთა მიღება კოლლექტორის გარეშე ხდება რის გამო უმწეო ბავშვთა საბავშვო სახლებში მოძრაობის აღნუსხვა შეუძლებელი ხდება.

სახალხო კომისართა საბჭოში

— **საბავშვო სახლის მოწყობილობა.** საუწყებათაშორისო საბიუჯეტო-საფინანსო თათბირის დასკვნისამებრ, სახალხო კომ. საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს გახსნას განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში 678,750 ათასი მან. რაოდენობის კრედიტი ბავშვთა სახლის № 2 და რძის სამზარეულოს მოსაწყობად და შესანახად 1923 წლის იანვრის პირველამდე.

— **პროექტის დამტკიცება.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა პროექტი—დადგენილებისა საწარმოებო დაწესებულებებში მოზარდთა მინიმუმის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

— **ცენტრალურ აღმასკომში.** ქალაქის მოსახლეობის აღწერა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს მოხსენებისამებრ ქალაქის მოსახლეობის მომავალ აღწერის შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მიერ დამტკიცებულია ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსაგან წარმოდგენილი წესი აღწერის წარმოებისა და პროექტი—დადგენილებისა საბჭოთა მოსამსახურეების და მოსწავლეთა მეცადინეობისაგან განთავისუფლების შესახებ აღწერის დღე; აგრეთვე დადგენილ იქნა შუამდგომლობა აღძრას საკავშირო საბჭოს წინაშე გავრცელებულ იქნეს დადგენილება ესე რკინის გზათა სამმართველოს თანამშრომლებზე.

გარდა ამისა ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა წინადადება მისცეს სახალხო კომ. საბჭოს გაუხსნას სასწრაფოდ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს აღწერის წარმოებისათვის 794 მილ. მან. რაოდენობის დამატებითი კრედიტი.

— **სახურავთა გადასახადის აკრების პირველ ადგილად ჩათვლა.** იმის გამო, რომ საბჭოთა ოსეთმა სახურავთა გადასახადის ძირითადი განაკვეთი პირველმა შეასრულა მთელს რესპუბლიკის მაშტაბში საქართველოს ცენტრალურმა აღმასკომმა დაადგინა სამხრეთ ოსეთის ოლქი ჩასთვალოს სახურავთა გადასახადის აკრების პირველ ადგილად.

— **პროექტის დამტკიცება.** განსაკუთრებულ კომისიის დასკვნისამებრ დამტკიცებულია პროექტი—დებულებისა სათემო და სამაზრო აღმასკომების ორგანიზაციის შესახებ.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. დიდი ჯიხაიში. ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების მიერ აქაური ტექნიკუმი დახურულ იქნა. მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ტექნიკუმის საჭიროებისათვის ყოველგვარი ხარჯები გაიღონ და აღძრეს შუამდგომლობა ტექნიკუმის ხელახლად გახსნისა. მთავრობამ ნება დართო. ხალხმა უკვე დაიწყო თავის დადგენილების სისრულეში მოყვანა. ამ ჟამად აგროვებს ფულს და მოკლე დროში გადაწყვეტილია ახალი ტექნიკუმის შენობის საძირკვლის ჩაყრა.

სამტრედია. ამ დღეებში სამტრედიის რაიონის სკოლები დაათვალიერა ქუთაისის მაზრის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ბახტაძემ. როგორც გავიგეთ, ამიერიდან 6 სასკოლო რაიონებში ინსტრუქტორთა თანამდებობის მაგივრად არსდება ადგილობრივ აღმასკომებთან სასკოლო სექციები, რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ სასწავლებლების გამგეები.

სამტრედიაში განზრახულია ტექნიკუმისათვის ახალი შენობის აგება. როგორც აღვნიშნეთ ტექნიკუმის გამგემ დ. ლოლობერიძემ ჩვენ გადმოგვცა, სულ მოკლე დროში უნდა მოხდეს ტექნიკუმის შენობის საძირკვლის ჩაყრა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ისმის.

აქაურ ტექნიკუმში 400—500-ზე მეტი მოწაფე იქნება, რის გამოც ტექნიკუმი წინანდელ შენობაში ვეღარ მოთავსდება და ამ ჟამად მეცადინობს რკინის გზის სკოლაში, [illegible] გამო ტექნიკუმი მეცადინეობა უწყებს ნაშუადღევს [illegible] დიდათ აფერხებს ნაყოფიერ მეცადინეობას.

— სამტრედიის ტექნიკუმის მოწაფეთა დრამატიული წრე ამ ახლო მომავალში აქ ჰმართავს თავის საღამოს.

— ეს ერთი ხანია აქაურ სამკითხველოში დედა ქალაქის გაზეთები (გარდა „ტრიბუნისა") აღარ მოდის.

პარტიაში

ხუთშაბათს 23 ნოემბერს საღამოს 7 საათზე საქ. მემ. სოც.-ფედ. პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია მემარცხენე სოც.-ფედერალისტ სტუდენტთა საერთო კრება.

მოხსენებას წაიკითხავს მთავარი კომიტეტის წევრი ამხ. სიმონ ხუნდაძე შემდეგ თემაზე „საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობა".

განსახილველია სასწრაფო საკითხები. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. თანახმად წესდებისა ვინც სამჯერ დააკლდება კრებას, გამორიცხულ იქნება ორგანიზაციიდან.

სტუდენტთა კომიტეტი.

ჩვენი სკოლისათვის

მოწაფეთა დისციპლინა.

უცნაურ და საშიშ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ჩვენმა მოწაფეებმა არა თუ წესიერ მოწაფის სახე დაჰკარგეს, არამედ ადამიანობაც კი დაავიწყდათ.

მთვრალი, „გალიფებით" და საცეკვაო წაღებით ესტუმრება ის სკოლას. მათ შორის არავითარი წესიერება არ არსებობს.

პირველ ყოვლისა დავაკვირდეთ მათ გარეგნულად: ჩოხა ხანჯალი ან მაუზერი, „გალიფე".

შეხვდება მასწავლებელს, ქუჩაში მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს; მასა ჰგონია, რადგან რევოლიუციამ ჯარის კაცები გაანთავისუფლა მეფის ოფიცრებისადმი იძულებით სალმის მიცემისაგან, ამიტომ თავისუფალი უნდა იყოს მოწაფეც თავის მასწავლებლისადმი სალამის მიცემისაგან.

ქუჩაში მიდის მოწაფე მთვრალი დარეტიანებული, არც სირცხვილი, არც მიხვრა მოხვრა მას არ აქვს.

მეცადინეობა-მუშაობა ეს ზღაპარია, იშვიათია მოწაფე, რომელიც გულმოდგინეთ მეცადინეობდეს და სამკითხველოს უტრიალებდეს. დროსტარება, ლაზღანდარობა მასწავლებელთან, „მაუზერით" მისვლა. აი დღევანდელი მოწაფე. ამას ზედ დაურთეთ კიდევ ის ავირებული გარემოება, რომ მოწაფეთა თვალსაჩინო ნაწილი ამ ჟამად სპეკულიაციაში არის გადავარდნილი. მოწაფენი ეწევიან ე. წ. „ფეხზე" ვაჭრობას. სასწავლებელში დადიან ფორმისათვის და მოწმობებისათვის!

ასეთი მოწაფენი განა გამოადგებიან სამშობლოსა და ხალხს?

მათ შეუძლიან განა რაიმე გონივრული შეჰმატონ მშობლიურ მხარეს?

ასეთი კითხვების დასმაც სასაცილოა. რა გონივრულ შემატებას სთხოვთ ისეთ მოწაფეს, რომელიც მთვრალი შედის სასწავლებელში, „მაუზერი" ხელთ უჭირავს, ბავშვობიდანვე სპეკულიანტობს და ფულის მოგებაზე ჰფიქრობს!..

სადმე ქუჩაში ჩხუბია ან თეატრში გაიმართა მუშტი-კრივი—ვინ არის —მოწაფე!—ისმის პასუხად..

ასეთი მოწაფეები მშობლებს გულს უტეხავენ და გლეხობას სწავლა-განათლებას აძულებენ!..

რად გვინდა სწავლა, თუ ჩემმა შვილმა ჩხუბის და სიმთვრალის მეტი ვერაფერი ისწავლაო—გაიგონებთ თქვენ ჩვენი ხალხის პირთაგან, რომლებიც თავზარდაცემული არიან მოწაფეთა ამ გასაოცარ გახრწნით. უფროს

მოწაფეთა ეს გახრწნითი საქციელი თავის თავად ცხადია. ასეთი მოვლენა მასიურ სენად ედება ნორჩ ბავშვებსაც, რომლებიც პირველად შემოდიან სკოლაში და ვარდებიან ზემო აღნიშნულ მოწამლულ ატმოსფეროში. 7—8 წლის ბავშვი უკვე თუთუნს სწევს და სიმთვრალესაც იწყებს.

საჭიროა მეტი სიფრთხილე, მეტი მუშაობა.

ირ—დი.

წერილი მეგობართან

ჩემო დიდი ხნის უნახავო, გულითადო მეგობარო ძმაო! უპირველესად, ბოდიშს ვიხდი შენს წინაშე ამდენი ხნის სიჩუმის გამო. თანაგრძნობას გიცხადებ შენს გულმწუხარებაში, ვწუხვარ, რომ არა მაქვს შემთხვევა პირადად ნახვისა, რომ შემეძლოს სიტყვა სიტყვით გადმოგცე ყველაფერი ჩემი შინაგანი თანაგრძნობა შენს მწუხარებაში, ვიცი, ამ წერილის მიღებისთანავე შენ მოისურვებ სულის სისწრაფით ამოიკითხო ყოველივე ახალი ამბავი, მეც ვეცდები, ზოგიერთი საგულისხმიერო, შენთვის საყურადღებო რამ გამცნო. ერთის მხრივ [illegible] მაგ მიყრუებულ სოფელში ყოფნა!, რადგან მოშორებული ხარ ყოველივე [illegible] ცხოვრებას და შენ უფრო სულის სიმშვიდეს განიცდით, ვიდრე მე. ვიცი შემეკითხები, სხვათა შორის, ჩვენი თეატრის მდგომარეობის შესახებ შენც, ოდესმე მის სიყვარულით, მის კეთილ დღეობით გატაცებული ყავი დღესაც გული შეგტკივა მისთვის და მოისურვებ. გაიგო მისი ავი დაკარგი, მეც მოგიყვები. შენ გახსოვს ხომ ძველი წარსული ჩვენი დრო, რა გატაცებით და თავდავიწყებით ვმუშაობდით, რათა უპირველესად სახელი შეგვეძინა და ნამდვილი მსახიობი გავმხდარიყავით. ჰონორარს ხომ მეორე ადგილი ეჭირა, მასზედ ნაკლებ ვფიქრობდით, მრავალ ჯერ გვიმუშავნია უსასყიდლოდ სხვა და სხვა თეატრებში და აუდიტორიებში. მრავალ ჯერ ავადმყოფნი წამოვმდგარვართ და გავქცეულვართ ჩვენ საყვარელ სცენაზედ. განა შენ კი მოწმე არა ხარ, თუ რამდენი ცრემლი მღვრიდა თეატრში მუშაობა, რადგანაც ოჯახური გარემოება ხელს ხშირად მიშლიდა ხოლმე, მაგრამ მე ისე გატაცებული ვიყავი სიყვარულით სცენისადმი, რომ ჩემს ოჯახს თეატრისაგან არ ვარჩევდი, იქ რაც უნდა მწყენოდა, მაინც საქმის სიყვარულით ყველაფერს ვივიწყებდი. დამეთანხმები, რომ სცენამ იცის თეატრისადმი სიყვარულის მიყვანა უკიდურესობამდის და მსახიობმა რა საშინელი ტანჯვა უნდა გადაიტანოს, როდესაც მის დაუძლურებლივ აშორებენ მას საყვარელ სცენას. გახსოვს ერთხელ განსვენებული ნატო გაბუნია, როდესაც იგი ჩამოაშორეს სცენას რა გულ [illegible] ცრემლებით სჩიოდა და ამბობდა „აი ეხლა როცა ქართული თეატრი აღორძინდა, ჩამომაშორესო, მუშებიან, ყურთ დამაკლდაო". ამაზედ წერილიც მოათავსა გაზეთში და სხვათა შორის ამბობდა: „ჩემ საყვარელ სცენას დამაშორეს და უნდებით მიწვევით მათამაშონო". ამ გვარად სამუდამოდ ჩამოაშორეს ქართულ თეატრს საშა კარგარეთელი, რის გამო ის ბევრჯელ დაგვკლებია კომიკ როლების ასრულებაში, ამ გვარივე მაგალითებს აქვს ადგილი დღესაც ახალ აკადემიურ და სახ. [illegible] რუსთაველის თეატრშიც. ჯერ კი უნდა გაგახარო და გამცნო, რომ ახალ აკადემიურ თეატრში ბევრს კარგს ვხედავ, საფუძვლიან დაკვირვებითი მუშაობა, შეტანილია ახალი სიტყვა, მრავალი მსახიობ-რეჟისორები, მხატვრები და მუსიკოსები, გამდიდრებული რეპერტუარი და სხვა. მართალიც გითხრა, რომ ნახო ჩვენი თეატრის წინმსვლელობა დამეთანხმები, რომ ჩვენ რომელიმე პიესის შესასწავლად და სცენაზედ დასადგმელად მოუნდებოდა ერთი კვირა. დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილის (იუჟინი) ღირებული ნაწარმოები „დალალი" მხოლოდ სამი რეპეტიციით ვითამაშეთ, თუმცა გვარიანათაც გვაქებდნენ გაზეთებში მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელნი ამას არ დაგიდევდნენ. მე ისე მივაღწიე ჩემს მუშაობის ოცდა მეჩვიდმეტე წელს, რომ არ მახსოვს რომელიმე რეჟისორს ჩემთვის და სხვებისათვისაც ეხელმძღვანელა ერთი მიმიკა სახის ან ტანის მოძრაობა ან ხმის აწევა დაწევა ეჩვენებინა. ეხლანდელი მუშაობა კი სულ სხვაა ჩვენი რეჟისორები ძალიან სცდილობენ მრავალი რეპეტიციებით პიესების დადგმით მსახიობების გაწვრთნას. ასე გასინჯე ახალგაზრდობისათვის სათეატრო „სტუდია" დაარსეს. ახალ თეატრისთვის დიდ შემატებას შეადგენს ეხლახან ჩამოსული, რუსეთში და ევროპაშიაც ცნობილი, ნიჭიერი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ჯერ ჯერობით მუშაობს ჩვენს თეატრში. მე ბედნიერება მქონდა მარჯანიშვილის რეპეტიციას დავსწრებოდი. მისმა სოლიდურმა რეპერტუარმა აღტაცებაში მომიყვანა, სიხარულისაგან თვალებზედ ცრემლი მომადგა და ვეუბნებოდი ჩემს თავს, აი მუშაობა ესაათქო. ჩემი სცენაზე ოცდა ათი წლის მუშაობა ამისთანა რეჟისორების ხელში რომ გატარებულიყო, რამდენს შევმატებდი მე ცდა სხვებსაც თქო. მარჯანიშვილი ორი თვეზე ნაკლებ ერთ პიესას არ ამზადებს მსახიობთან ერთად ფიქრობს ერთად ცოცხლობს რეპეტიციაზედ. მისი სახის გამომეტყველება საოცარია, როდესაც ხედავს, რომ მსახიობმა შეიგნო მისი გადაწყვეტილი „პლასტიკა" და თუ მოეწონა ყოველივე მისი სახის ძარღვი და ნაკვთი ათამაშდება ნიშნად სიამოვნებისა, ხოლო თუ არ მოეწონა, მაშინ მისი სახე ხდება მრისხანე სასტიკი. ბედნიერნი არიან ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები, რომ ამის ხელში უხდებათ მუშაობა ჯერ-ჯერობით მაინც...

ახლა შევეხები ჩემო კარგო ჩემს მდგომარეობას. მე უკვე განდევნილი ვარ აკადემიური თეატრიდან. სეზონის დასაწყისში მე ჩვეულებრივად გამოვცხადდი. წარმოიდგინე ჩემი განუსაზღვრელი განცვიფრება, როდესაც თეატრის კედელზედ დავინახე გაკრული უზარმაზარი სია წლევანდელ მრავალი მსახიობნი მიღებულნი არიან დასში წლიური ჯამაგირით, ზოგნი სეზონით თვიური ჯამაგირით მრავალნი მიღებულნი თანამშრომლებად. და ბოლოში ჩამოწერილია სამი გვარი საგასტროლოთ ამ საგასტროლოებში ერთი მე გახლავარ. მე ვეკითხებოდი ჩემს თავს რას ნიშნავს ეს გასტროლი? არხივში გადაგდებული ასე უცბად ჩემი ჩამოშორება მე ვიცი, რომ მიწვევითაც არ მიმიწვევენ ეს აშკარაა ნათ ნუთუ ასე დაავიწყდეს თეატრის მოთავეებმა ჩემი ოცდა ჩვიდმეტი წლის დაულალავი მუშაობა მეთქი? რაშია საქმე? ვეკითხები ჩემს თავს იქნება ხელმძღვანელებმა იფიქრეს, რომ მე უკვე დავბერდი და ძალა აღარ შემწევს სცენისთვის? მაგრამ არა ჩემს როლებში სწორედ რომ ბებრები უნდა და მასთან უძლურიც არა ვარ, ეს კარგად იციან, იქნება, იფიქრეს, რომ ყურთ დამაკლდა? არა, ყურთა სმენა ან თვალთა ხედვაც მშვენიერი მაქვს. ან იქნება ის პიესები, სადაც მე ვთამაშობ, უკვე მოძველდა და ახალს რეპერტუარს აღარ შეეფერება? ეს მოსაზრება კი თავში მოსასვლელია, საფუძვლიანიც, ცხოვრების მოთხოვნილებას ვერ [illegible], მაგრამ მაშინ საგასტროლოდ რაღათ მიწვევენ? სხვა [illegible] პიესებიც ბევრია. აქ კი ულოგიკობაა.

ან იქნება გადასწყვიტეს ამით, რომ თუ დასში მიმიღებდნენ თვიური ჯამაგირიც უნდა ეძლიათ, ჩემთვის მაშინ, როდესაც სახელმწიფოსაგან პენსიას—3 მილიონს ვიღებ, არც აქაა სიმართლე. ბევრს მსახიობს, ჩემზე ახალგაზრდას პენსიაც ეძლევათ და თვიურ და წლიურ ჯამაგირზედაც არიან მიწვეული დასში.

რადა ჩემზე მოიცალეს! მაშ რაში ვეძიო მიზეზი, ვფიქრობდი: გულ დამძიმებული გავეშურე თეატრების უფროსისკენ ნამდვილი მიზეზის გასაგებად. უფროსმა მიპასუხა, რომ აქ რადგაც გაჭირვებას უნდა ჰქონდეს ადგილიო, მაგას გამოვარკვევ, ამ სამ დღეში შემოიარეთ და გაიგებთო. მე მესამე დღეს მივედი იმან მიპასუხა, სამი მილიონი ეძლევათ თვეში და ხანდისხან მოგიწვევთ სცენაზეო, ამით ჩემი თავმოყვარეობა საშინლად შეურაცყოფილად ჩავსთვალე. სიტყვა ვერ უთხარი გამოვემშვიდობე და წამოვედი. გზაზე ჩემ თავს გულ დაწყლულებული ვეუბნებოდი „რა რიგად შელახეს ჩემი პიროვნება, ჩემი დამსახურება, რამოდენიმე ათეული წლების დაულალავი მუშაობის შემდეგ ასეთი მოპყრობა?" ღირსადაც არ გამხადეს აკადემიურ თეატრისა.

მეც მიხდება ძიება და ხვეწნა არა ჰონორარის, არამედ აკადემიურ თეატრის გარეშე დატოვებაც ბოლოს გადმომიგდეს სამოწყალოდ სამი მილიონი, რა საშინელი დაცინვაა. მაგრამ როდესაც ვგრძნობ და ვხედავ კიდევ შემწევს ძალ ღონე, განა შევურიგდები იმ მდგომარეობას, რომ მივატოვო ჩემი საყვარელი სცენა და შეძლების დაგვარად არ ვემსახურო ქართულ თეატრს, რომელთანაც მჭიდროდ დაკავშირებულია ჩემი ახალგაზრდობის და მოხუცებულობის მოღვაწეობა? ამიტომ გადავსწყვიტე და მივმართე სახალხო თეატრს წინადადებით ჩავწერილიყავ დასში, თუ მოისურვებდნენ. სახალხო თეატრის მსახიობთა ამხანაგობამ შემატყობინა, რომ ერთხმათ გადაწყვეტილია დასში ჩემი ჩარიცხვა და დიდ სიამოვნებას იწვევს მსახიობთა ამხანაგობაში თქვენი შესვლა. 24 ოქტომბრიდამ მე უკვე დავიწყე მუშაობა სახალხო თეატრში და კმაყოფილიცა ვარ მსახიობთა ამხანაგობასთან მუშაობით, მაგრამ აკადემიური თეატრის მეთაურების მიერ დაკოდილი ჩემი გული ვეღარ გამთელდება. ასე ჩემო ძმაო, ახალგაზრდანი იმ აზრისანი არიან, მსახიობი რაკი დაბერდა უნდა გადაიგდოსო, მაგრამ ჭეშმარიტებას არის ეს აზრი მოკლებული დაუძლურებულ მსახიობს, მართალია, ადგილი არა აქვს სცენაზედ, მაგრამ ზოგიერთს თუ ჯერ კიდევ შეუძლიან შრომა მაშინ რად ეჩხირებათ თვალში მოხუცი ფალავანდი, მაგრამ არა ღირს ამაზედ ვრცლად ბაასი შეიძლება ან მე მომივიდეს მეტი ამ წერილში, ან გადაჭარბებ ვინმე. დღეს ისეც მე ვიყავ გაჯავრებული იმაზე ვინც მე სამუდამოდ რუსთაველის თეატრს ჩამომაშორა, ის გარემოება და ის შეხედულება კი, რომელიც შეუდგენიათ ჩემი თითქმის სცენისთვის უვარგისობაზე, მხოლოდ აორკეცებს ჩემს ძალას. საუკეთესო ადგილები ბევრია მთხოვნილება და ხელოვნებისადმი წყურვილი დიდია და მეც შეძლებისადაგვარად ვიმუშავებ მუყაითად, ამაში შენ ჩემო ძმაო დამეთანხმები.

ვეცდები შემდეგშიაც ხანდისხან მოგწერო ხოლმე ყველა იმ ცვლილებების შესახებ რაც მოხდება აქ, შენც გამიზიარე შენი აზრი ამის შესახებ, რაც ჩემთვის ფრიად ძვირფასი იქნება, მანამ კი მშვიდობით მეგობარო.

მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

1922 წ. 15 ოქტომბერი.

ტფილისი.

ვუძღვნი გ. დეკანოზიშვილის ხსოვნას*)

— დედავ, რა უყავ შენი შვილები,
სად გაიფანტნენ, სად გაიხვეწნენ?
— ზოგი ციხეში, ზოგი ციმბირში,
ზოგიც ჯალათებს შორს, შორს გაექცნენ!..

—

— დედავ, რა უყავ შენი შვილები,
თავზე მანდილი რად დაგთალხია?
— ბრძოლაში გასწყდნენ ჩემი გმირები,
ვინ უწყს, რამდენი დამიმარხია!

—

უბედური ხარ, ჩემო სამშობლო:
არ გიმთელდება მკერდზე წყლულები..
ლამაზო მონავ, თვალზე ცრემლებით
მარად კუბოში ჩაიყურები.

ირ. ევდოშვილი.

14 დეკ. 1910 წ,

---

*) ეს ლექსი პირველად იბეჭდება.

რედ.

საბინაო საკითხი ტფილისში

თანახმად ქალაქის აღმასკომის დადგენილებისა, საბინაო განყოფილებას აქვს უფლება დაიტოვოს თავის განკარგულებაში სახლებში მხოლოდ 25 პროც. საცხოვრებელ ადგილისა.

თუ სახლში 25 პროცენტზე მეტი ოთახები უჭირავს პროფკავშირთა წევრებს და მათ ოჯახს—ასეთ სახლებს საბინაო განყოფილება თავს ანებებს.

ვნახოთ ეხლა რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ტფილისის სახლები. ამ წლის მაისში ქალაქის სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოიკვლია ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში 7000 სახლი.

ამ გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ პროფკავშირთა წევრებსა და ოჯახებს უჭირავთ საშუალოდ საცხოვრებელ ბინების შემდეგი რაოდენობა პროცენტებში:

1 უბანში 66,9 პროც. 2 უბანში 47,4 პროც. 3 უბანში 54,1 პროც. 4 უბანში 37,7 პროც. 5 უბანში 29,8 პროც. 6 უბანში 57,8 პროც 7 უბანში 39,0 პროც. 8 უბანში 45,6 პროც. 9 უბანში 43,7 10 უბანში 47,2 პროც. 11 უბანში 39,2 პროც. 12 უბანში 77,5.

საერთოდ მთელ ქალაქში მუშა მოსამსახურეებსა და მათ ოჯახის წევრებს უჭირავთ 48,9 პროც. საცხოვრებელ ბინების საერთო რაოდენობისა.

რომ უკეთ დავრწმუნებულიყავით ამ ცნობების სინამდვილეში, ა. წ. სექტემბერს აღმასკომმა მიანდო სას. საბ. განყოფილებას მოეხდინა ხელმეორედ 1,5 პროცენტიან გამოკვლევა ტფილისის სახლებისა და სხვა უბნებში.

ამის მიხედვით გამოკვლეული იყო 200 სახლი. ამ გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის საბჭოს წევრები, პარტიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები და საბინაო განყოფილების აგენტები. გამოკვლეული იქმნა ტიპიური სახლები, და რა დავინახეთ. საერთოდ მთელ ტფილისში მუშა-მოსამსახურეთ და მათ ოჯახის წევრებს ჰქონიათ მოკავებული 59,6 პროც. საცხოვრებელ ბინებისა.

აქედან აშკარაა, რომ 25 პროცენტიანი ფონდი უკვე ფიქციაა, ვინაიდან ფაქტიურად მუშა მოსამსახურეებს უჭირავთ 25 პროცენტზე მეტი ბინები.

ვნახოთ ეხლა თუ რამდენი სული მოდის საშუალოდ ერთ ოთახზე.

1	უბანში	ერთ ოთახზე	მოდის	საშუალოდ	1,9	სული
2	„	„	„	„	2,2	
3	„	„	„	„	1,9	
4	„	„	„	„	2,2	
5	„	„	„	„	2,4	
6	„	„	„	„	2,5	
7	„	„	„	„	2,5	
8	„	„	„	„	2,3	
9	„	„	„	„	2,0	
10	„	„	„	„	2,0	
11	„	„	„	„	1,8	
12	„	„	„	„	2,5	

საერთოდ მთელ ტფილისში ერთ ოთახზე საშუალოდ მოდის 2,1 სული. ვნახოთ ეხლა თუ რა სივრცე მოდის საშუალოდ ერთ სულზე.

1	უბანში	22,8	კვ.	ადლი
2	„	25,7	„	„
3	„	22,3	„	„
4	„	19,2	„	„
5	„	16,3	„	„
6	„	17,3	„	„
7	„	20,8	„	„
8	„	15,2	„	„
9	„	20,9	„	„
10	„	29,1	„	„
11	„	16,6	„	„
12	„	16,4	„	„

საშუალოდ მთელ ტფილისში ერთ სულზე მოდის საცხოვრებელი ბინის სივრცე 20,5 კვ. ადლი მაშინ, როცა ნორმად მიღებულია 25 კვადრატ. ადლი.

აქედან აშკარაა, რომ ტფილისი საშინლად გაჭედილია მცხოვრებლებით და ფიზიკურათ შეუძლებელია, რომ მან მეტი დაიტიოს.

ჩვენ გამოვიყვანეთ აქ საშუალო ციფრები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ შეგვხდეს ისეთი სახლები, სადაც პროფკავშირთა წევრებს ეჭიროთ 25 პროც. ნაკლები რაოდენობა ოთახებისა, ან საშუალოდ თითო სულზე მოდიოდეს სივრცე ნორმაზე მეტი. მაგრამ ეს იქნება გამონაკლისი და მუშაობა ამ მხრივ ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რაც საჭიროა, საბინაო საკითხის მხრით ქალაქი ისეთ ჩიხში მოეწყვდა, რომ ყოვლად შეუძლებელია დაკმაყოფილება ყველა მთხოვნელთა.

დიდი იმედი იყო დამყარებული დაწესებულებათა შემჭიდროებაზე. ამ მიზნით ოქტომბერში გასინჯულ იქნება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებანი.

ცოტაოდენ შედეგს აქ მივაღწიეთ, მაგრამ დიდ ეფექტს არც აქ აქვს ალაგი.

გამოკვლევამ დაგვანახა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში თითო მოსამსახურეზე საშუალოდ მოდის სივრცე ბინის 17,8 კვ. ადლი. ნორმად კი დაწესებულებებში მიღებულია 9 კვ. ადლი.

თუ სახელმწიფო დაწესებულებებს შევამჭიდროებთ ნორმამდე, ეს მოგვცემს დაახლოვებით 78000 კვ. ადლს თავისუფალ ბინის, ან 1200 ოთახს, სადაც შეიძლება მოთავსდენ მცხოვრებნი.

საქმის დაუზიანებლად შეიძლება შემჭიდროების გატარება აგრეთვე ზოგიერთ სკოლებში და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ეს მოგვცემს საერთოდ 1500 ოთახამდე.

მართალია, ეს ვერ იხსნის ქალაქის მდგომარეობას, მაგრამ 1500 ოთახის ფონდი არც ისე სახუმრო საქმეა და ეს დიდათ შეამსუბუქებს საბინაო კრიზისს.

ამნაირად შემდეგი შემჭიდროება საცხოვრებელ ბინების მოსულ ელემენტების აქ მოწყობის მიზნით შეუძლებელი ხდება, ვინაიდან მცხოვრებლებს ბინის სივრცე უჭირავთ ნორმაზე ნაკლები.

მართალია, შეიძლებოდა ამ ნორმის 15 კვ. ადლ. დაყვანა მისცემდა ქალაქს საშუალებას მიეცა ბინა მცხოვრებთა მექანიკურ ზრდისათვის, მაგრამ ეს საშინლად გაუარესებდა ისედაც გართულებულ საბინაო პირობებს და შექმნიდა საშინელ სიმჭიდროვის ნიადაგზე მშვენიერ პირობებს ყოველგვარ ავადმყოფობათა გასავრცელებლად.

ამიტომ, ჩვენის აზრით, ვემყარებით რა ყველა ამ გამოკვლევათა ცნობებს, რომელიც შეკრებილი იქმნა თანახმად აღმასკომის დავალებისა, საბინაო პოლიტიკა ტფილისში უნდა გამოიხატოს შემდეგში:

1. უნდა წარმოებდეს სისტემატიური მუშაობა საცხოვრებელ სივრცის თანასწორად განაწილების მხრით. ნორმად ერთ სულზე უნდა დადებულ იქმნას არა 25 კვ. ადლი, რაც ფაქტიურად არ არსებობს, არამედ 20 კვ. ადლი, რაც დაამტკიცა გამოკვლევამ. ამ ნორმის მიხედვით უნდა სწარმოებდეს ბინების სისტემატიური გადანაწილება.

2. იმ მიზნით, რომ საცხოვრებელი მოედანი გაფართოვდეს, მიეცეს სტიმული სახლების აღშენებლობის საქმეს, რისთვისაც უნდა იქმნას გა-

მომუშავებული სათანადო პროგრამა.

3. გატარდეს სახელმწიფო და კერძო დაწესებულებათა შემჭიდროება, რომ ამ მიზნით შედგეს საცხოვრებელი მოედნის ფონდი, რაც გამოყენებული იქნება უკიდურეს საჭიროებისათვის.

4. გამოცხადდეს ტფილისი ბინების მხრით სრულიად არა უზრუნველყოფილად და მიეცეს გაფრთხილება პრესსის ცალკე განცხადებათა და სხვა საშუალებით, რომ ქალაქს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ბინებით ტფილისში ჩამოსულნი.

ა. რ.

თეატრი და ხელოვნება

„ვიდრე ხვალ“?

(სტუდიელის წერილი)

ნოემბრის 18-ს რუსთაველის თეატრში გაიმეორეს სენკევიჩის პიესა „ვიდრე ხვალ“? საერთოდ პიესის ღირსების შესახებ არაფერს ვიტყვით. მხოლოდ აღვნიშნავთ რომ ამ საღამოს ძლიერ მცირე შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზედ. ამის მიზეზი კი ის უნდა იყოს, რომ პიესის უმთავრესი მამოძრავებელი პიროვნება მარკუსი (იმედაშვილი) უხეიროდ ასრულებდა თავის როლს. ალაგ-ალაგ აშკარად ეტყობოდა, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები გულის სიღრმიდან კი არ ამოდიოდა, არამედ ზეპირად იყო თქმული. მაგ. ის ადგილი (პირველი მოქმ.) როდესაც იგი პირველად ელაპარაკება ლიგიას, გრძნობას მოკლებულია. მისი მიმიკაც არ არის სრულიად ბუნებრივი და მგრძნობიარე. მომენტი მეოთხე მოქმედებაში, როდესაც მარკუსი კიბეზედ გართხმული გამოუთქმელის ტანჯვით ელის ლიგიას ბედს, ეს ისეთი წუთია, როდესაც ადამიანი გამწარებულია, მისული სასოწარკვეთილების უმაღლეს წერტილამდე, და შემდეგ ამას მოსდევს გარდატეხა, გარდაქმნა ადამიანის სულისა. იმედაშვილმა თავის მიმიკით და ხმით ვერ ამოსწურა სავსებით ეს მომენტი. მას აკლდა გრძნობის განცდა და სიღრმე. თვით იმ მოძრაობასაც, როდესაც მარკუსი იმედ მიხდილი ეცემა კიბეზედ აკლია ბუნებრიობა. ეს მოძრაობა გამომხატველია მთელი მისი ტანჯვისა და ამიტომ უფრო მეტი სასოწარკვეთილება, მეტი ძალღონე უნდა ჩანდეს ამ მოძრაობაში, ვიდრე ეს გადმოგვცა იმედაშვილმა. აგრეთვე არ უვარგა მას მიხვრა-მოხვრა. სად არის მედიდურობა და სიამაყე განაზებულ რომაელ პატრიციისა? ეს სრულებით არ ჩანს მარკუსის მოძრაობაში. შეიძლება მიპასუხონ, რომ მარკუსი თავდავიწყებულია, აღელვებულია და ამიტომ მისი (იმედაშვილის) მიხვრა მოხვრაც შეეფერება სულიერ მდგომარეობას. მაგრამ ეს ხომ იმას არ მოითხოვს, რომ გმირი მოიკუზოს და მთელი თავისი გრაცია დაჰკარგოს. ამ უკანასკნელს კი იმედაშვილი მოკლებულია, რაიცა ძლიერ ამახინჯებს მის როლს. მეტადრე ეს ნაკლი სჩანს მის მისალმებაში.

მეორე უმთავრესი პიროვნება ამ პიესისა ლიგია (ა. ქიქოძე) გარეგნობით შესაფერისი იყო. მხოლოდ მე მაკვირვებს მისი შავი თმა. ლიგია და შავი თმა..! ეს წარმოუდგენელია. ლიგია არის განსახიერება სისპეტაკისა, ნათელისა. როგორც მისი სული სპეტაკი და ნათელია, ისეთივე სხივ-მფენია მისი გარეგნობაც. ამიტომ თმაც ოქროს ფერი შეეფერის და არა შავი. რაც შეეხება როლის შესრულებას, ვიტყვი, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ უფრო მეტი გრძნობა შეეტანა ქიქოძეს ამ როლში. გარდა ამისა მასაც ეტყობა არა ბუნებრიობა. როდესაც ლიგია (მესამე მოქმ.) მარკუსთან კავშირის დროს გებულობს, რომ ამ ურწმუნო ადამიანს შეეცვალა შეხედულებები, რომ მისი სული და გრძნობები იწყებენ გაღვიძებას, ქიქოძე ისე შენიშნავს ამ სერიოზულ ცვლილებას თითქოს ეს მისთვის მოულოდნელი კი არ იყოს, არამედ წინდაწინვე შენიშნული. პიესას ამშვენებდა გ. დავითაშვილი (პეტრონიუსი) მან ყველაზედ ნათლად დაგვიხატა ტიპი ამაყ ფილოსოფოს სკეპტიკისა. როგორც ხმა, ისე სახის გამომეტყველება და მედიდური მოძრაობა ნათლად წარმოუდგენდა პეტრონიუსის ტიპს. მის მედიდურ მოძრაობაში ისახებოდა სიამაყე რომაელ პატრიცისა. პეტრონიუსი შეუდარებელი იქნებოდა, რომ ერთი დეფექტი არ უშლიდეს ხელს. ეს არის დავითაშვილის რუსული კილო ლაპარაკისა, რომელიც ალაგ-ალაგ ძლიერ იჩენს თავს. გვართანად თამაშობდა სარჩიმელიძე (ხილონი); მეტადრე ხმა და გრიმი შესაფერისი ჰქონდა. მიმიკაც არ იყო ცუდი. მხოლოდ მეოთხე მოქმედებაში, სადაც ხილონი თავდავიწყებული განწირულების ყვირილით აიჭრება მაღლა და გასცემს ნერონს, ვერ შეუფარდა სინამდვილეს. ეს მოძრაობა უნდა იყოს ნერვიული, სწრაფი, სარჩიმელიძემ კი თითქმის მშვიდად ჩაატარა. ძლიერ უშლიდა სარჩიმელიძეს როლის უცოდინარობა და მე მგონია ძნელი არ იყო მსახიობისთვის ამ პატარა როლის სწავლა და თავიდან აცილება იმ კონფუზია, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის ლაპარაკის დროს. საზოგადოდ როლის უცოდინარობაზე უნდა ვსთქვა, რომ ეს საერთო სენია ქართველი მსახიობისა. რაც შეეხება ნერონს (ვასაძე) მისი მიმიკა და გრიმი შესაფერისია. ნერონის სულიერი და გადაგვარებული ფიზიონომია სრულიად შეეფერებოდა სინამდვილეს. კარგი ჰქონდა ხმაც, მხოლოდ ცოტა გადაჭარბება „ჰა რომის“ ძლიერ მაღლა ყვირილი. მეორე მსახიობი, რომელმაც სავსებით გადმოგვიშალა თავისი როლი, ეს დანაუერია (ევნიკა) როგორც ხმაში, ისე სახის გამომეტყველებაში და მოძრაობაში ნათლად სჩანდა უსაზღვრო სიყვარული და თავდადება რომაელ მონისა თავის ბატონისადმი.

ზ. ქ.

მოწერილი ამბები

ბორჯომი.

ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავი.

ბორჯომი დღეს, 25 ოქტომბერს, რევოლიუციის ხუთი წლის თავს, უცნაურია. არც ერთ უქმეს, არც ერთ დღესასწაულს ასე არ ყოფილა მორთული და გალამაზებული ბორჯომი. ყოველი მოქალაქე რაღაც არა ჩვეულებრივი სულიერი განწყობილებით ეგებება ამ უქმეს. ყველა სცდილობს რაც მეტი რამ შეიძლება უძღვნას ამ უქმეს, მეტი მონაწილეობა მიიღოს და ამით დაამშვენოს საერთაშორისო დღესასწაული. არც ერთი უმნიშვნელო კუთხე არ დარჩენილა ამ დღეს მოურთავი. ბორჯომი ამ დღეს მართლა საზეიმო სანახაობაა.

დღესასწაულის უქმობა იწყება დილით ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში ლენინის ძეგლის წინ, აქ თავმოყრილია მთელი მცხოვრებლები და მუშები წითელი დროშებით.

ადლუმით და შეიარაღებული ძალებით გახსნეს საზეიმო ნ. დოლიძეშვილი. ადლუმს ღებულობენ სამხედრო ალმასკომის თავმჯდომარე დ. რუხაძე, მისი ამხანაგი პ. ათაბაშვილი და მაზრის პასუხის მგებელი მდივანი ამხ. ა. სიმაშვილი. დღესის შემდეგ იხსნება მიტინგი ამხ. რუხაძეს მიერ, მონაწილეობენ ამხ. სიმაშვილი 2—კაზარმის წარმომადგენლები, მემარცხენე სოც. ფედერ. ორგანიზაციის სახელით ამხ. შელიკაშვილი და ადგილობრივ მოქალაქეთაგან ა. მაისურაძე. ყველა ორატორები სავსებით მიესალმებიან ოქტომბრის რევოლიუციის ზეიმს და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ. მიტინგი თავდება დღის 12 საათზე, რის შემდეგ პროცესია მიემართება მუშათა კლუბში, დროშებით სიმღერით და ზურნით. მიტინგი იმართება ორატორების უმნიშვნელო ცვლილებით, ამ ხნის განმავლობაში მუშათა კლუბში მაგიდებს უდგამენ [illegible] და მიდის უფასო წარმოდგენა. საღამოს ამავე კლუბში ისევე უფასოდ იმართება ინტერნაციონალური საღამო მუშათათვის.

დღის სამ საათზე სააგიტაციო მატარებელი გადის ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ, მაგრამ სივიწროვის გამო მატარებელი ბრუნდება წაღვერიდან, სადაც მრავალრიცხოვან გლეხთა მიტინგს ატარებს ამხ. სიმაშვილი. დღესასწაულში მონაწილეობის მიღებით საზოგადოება იმდენად საღამოს ბორჯომის სადგურთან სავსებით კმაყოფილი. საინტერესო სანახაობაა ბორჯომი ღამით, როდესაც ილუმინაცია აფერადებს მას.

ბარაქალა იმ ამხანაგებს, რომლებმაც ასე მშვენივრად შეძლეს ამ დღის ჩატარება. უსურვებ ბორჯომელ ამხანაგებს მრავალჯერ [illegible] მონაწილეობა ასეთ დიად დღესასწაულში და ასე მშვენივრად ჩატარებინოთ იგი.

ალ. ალხაზიძე.

ზოგი რამ ბათომის ქ. მუშათა არტელის შესახებ.

ბათომში დაიწყო მუშათა არტელის დაარსება 1922 წ. თებერვლის რიცხვიდან. წევრად ჩაწერაში ახდევინებდნენ 100 ათასიდან და დაბოლო ხანებში კი ნახევარ მილიონს. სოფლის გლეხებმა მიატოვეს სოფლები და მიეშურებოდნენ ხსენებული არტელისაკენ ჩასაწერად. საგრძნობი რიცხვი მუშებისა ჩაეწერა და დასჭირდათ ცდა 2 თვიდან 7 თვემდე. ეღირსა მუშაობის დაწყება, მაგრამ მოკლე ხანში დაიშალა, ხოლო შემდეგ ისევ განახლდა მუშაობა ხელ-ახალი ხელმძღვანელებით მაგრამ ბევრი მუშები უადგილოდ დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ გადახდილი ჰქონდათ ფულები და 7 თვის განმავლობაში მოთმინებით ელოდნენ მუშაობის დაწყებას. ყველაფერს, რასაც აკეთებს ადამიანი, მას მიზნად აქვს დახსნული პირადი და აგრეთვე საზოგადო სარგებლობა, მაგრამ აქ საამისოს ვერაფერს შეხვდებით. გავხდი მოწამე ერთი ამბავისა, რომელიც მოხდა 28 ოქტომბერს ხილის ბაზარში (რომ ყოფილიყო რაიმე საზოგადო მიზნის კიდევ არაფერი). გლეხმა მატარებლით ჩამოიტანა 15 ფუთი ვაშლი. არ შევუდგები იმის დახასიათებას, თუ საერთოდ რა მიზნით გამოაქვს ამა თუ იმ გლეხს ბაზარზე ქირნახული ან და ხილი გასასყიდათ, მხოლოდ მოკლეთ გაგაცნობთ იმ გლეხს რომლის გარშემოც მოხდა ეს არა სასიამოვნო ამბავი, რომელმაც ცუდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელ საზოგადოებაზე. ის გლეხი არის მშრომელი მიწის მუშა და არჩენს თავის ოჯახს პატიოსანი შრომით, მიუხედავად იმისა, რომ ის არის დაავადებული მალიარიით. მან მისცა კურტნის მუშებს „იაშჩიკები“ ბაზარში გასატანად და გაურიგდა სადგურიდან ბაზრამდე 140 ათას მანეთად, რომლებმაც შეასრულეს პირობა და მოხსნეს ზურგიდან ტვირთი. ამ დროს გამოცხადდება ქ. მუშათა არტელიდან მუშები, რომლებიც ახდევინებენ ხსენებულ გლეხს ფულს, მხოლოდ იმისთვის, რომ თურმე კურტნიან მუშების ზურგიდან მათ უნდა გადმოეღოთ ტვირთი. ბევრი აყალ-მაყალის შემდეგ გლეხს მაინც წაართვეს მოთხოვნილი ფული და მასთან ერთად მონათლეს ურცხვად სპეკულიანტის სახელით და თვით კი ამაყობდნენ მით, რომ ვითომ და მუშები არიან. ნუ თუ არ შერცხვათ უშრომლად ფულის აღება? მაგრამ ეს ვაჟბატონები იმდენად შეუგნებელნი გამოდგნენ, რომ გლეხს მათებრ (თუ შეიძლება ასე ითქვას) დაარქვეს სპეკულიანტი. ნუ თუ 15 ფუთი ვაშლის გაყიდვა სპეკულიაცია და უშრომლად ფულის აღება კი მუშაობა? ამ არტელს არ შეუძლია საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ დაწესებულებებს მისცეს დახმარება, როგორც ეხმარება სანაპირო მუშათა არტელი და თავისი პირადი ინტერესების გასაუმჯობესებლად სხვას კი ძარცვავენ. ვისაც მიაქვს 100 ფუთიდან ზევით პურის ფქვილი ან სხვა საქონელი იმას თუ გადაახდევინებენ ის გააწერს თავის თავის საქონელზე, რაც გამოიწვევს საქონლის გაძვირებას, როდესაც შეუძლია კურტნიან მუშებს გაცილებით იაფად დატვირთონ ან გადმოტვირთონ ესა თუ ის საქონელი, რაც გამოიწვევს საქონლის ნაკლებ გაძვირებას. ამ არტელში ისე ხდება, როგორც ერთი თოხნის და ასი ცოხნის ე. ი. სჭამს. მაშასადამე რამდენად იზრდება სურვილი ფინანსიური გაუმჯობესებისა, იმდენად მეტ უსამართლობას დაინახავდა. მაგალითად კურტნიან მუშას მიაქვს ვერს ნახევარზე 10 ფუთი და ღებულობს 50 ათას მანეთს. გაყვება უკან ქ. მუშათა არტელის მუშები და ამ ტვირთის ზურგადგადმოღებაში ახდევინებენ 75 ათას მან. და ხან მეტსაც. ან უნდა გაუქმდეს კურტნიანი მუშები ან და ქალაქის არტელი, თორემ ბევრ უსამართლობას აქვს ადგილი.

ბ. ჭანუყვაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარი № 90.

ს. ს. ს. რ. სახალხო განათლ. კომისარიატის პროფ. განათლების მთავარ-მმართველობის, ყველა ტეხნიკუმებს და განათლების განყოფილებებს.

დამატებად უკვე გამოცემული ცირკულიარებისა მოწაფეთა სწავლის ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, ს. გ. კომისარიატი გაცნობებთ, რომ თანახმად განათლების კომისარის განკარგულებისა, სწავლის ფულის გადასახადისაგან უნდა განთავისუფლებულ იქმნენ აგრეთვე ყველა სახელმწიფო პენსიონერების შვილები, სათანადო მოწმობების წარდგენის შემდეგ.

პროფ. განათ. მთავარ-მმართ. გამგე:
ნ. მგელაძე.
მდივანი: მიქელაძე.

ცირკულიარი № 91.

სახალხო განათლ. კომისარიატის პროფ. განათლების მთავარ-მმართველობის. ყველა ტეხნიკუმებს და განათლების განყოფილებებს.

ვინაიდან ტეხნიკუმებში შემოღებულია სწავლის ფულის გადახდევინება, ამიტომ საჭიროა სამეურნეო კომიტეტების არსებობა ამ ტეხნიკუმებში, გაუწყებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ შეადგინოთ აღნიშნული კომიტეტი, რომელშიაც უნდა შედიოდნენ: 1|4 კლასიან ტეხნიკუმში—გამგე და ორი წევრი, პედაგ. საბჭოს მიერ არჩეული; 2|4 ზე მეტ კლასიანში—8-მდე—გამგე, მისი მოადგილე და ერთი წევრი—წარმომადგენელი პედაგ. საბჭოსი და 8 და 8 ზე მეტ კლასიანში—იგივე გამგე, მისი მოადგილე და ორი წევრი—წარმომადგენელი.

პროფ. განათ. მთავარ მმართ. გამგე:
ნ. მგელაძე.
მდივანი: ალ. მიქელაძე.

† დიმიტრი ქვლივიძე

კვირას, ნოემბრის 19 ტფილისში გარდაიცვალა ძველი მომუშავე, ასოთ-ამწყობი დიმიტრი ქვლივიძე, რომელიც მუშაობდა ასოთ-ამწყობად სერგეი მესხის გაზეთ „დროებაზე“ და ამასთანავე მეტრამპაჟადაც იყო ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერიაზე“. განსვენებული ამ უკანასკნელ ხანებში განიცდიდა საშინელ სიმშილს ხელმოკლეობისა, [illegible] და ამასთანავე [illegible] ჰქონდა შრომის [illegible], რომელიც მას ეძლეოდა საავადმყოფო კასიდან, არ ჰყოფნიდა.

დ. ქვლივიძე გარდაიცვალა 65 წლისა, ამხანაგებისაგან და ნაცნობ-მეგობრებისაგან სრულიად მივიწყებული, რომელიც ხვდებია მრავალ მშრომელი ხალხისა და განსაკუთრებით სტამბის მომუშავებისათვის, რომელთაც ,,ქციის'' დროს უფრო გვაგონდება ერთმანეთი.

განსვენებული მიაბარეს მიწას, გუშინ 21 ნოემბერს, რომელსაც დარჩა უმწეო მოხუცი ქვრივი, რომელსაც იმედია დამზღვევი კასა უზრუნველყოფს.

პ—ე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო!

იმედია გაზეთ „ტრიბუნაში“ დამისტამბავთ შემდეგს: მე დღემდე არ ვითვლებოდი არც ერთ პოლიტიკური პარტიის წევრად.

პოლიტიკური პარტიის წევრობისათვის არ მქონდა საჭირო მომზადება, პარტიული მუშაობის ხალისი, დღეს ცოტათი თუ ბევრად შეგნებული მაქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების აუცილებელი საჭიროება. დღევანდელ დროში ბევრი რამ კეთდება მუშათა სასარგებლოდ, როგორც კი ვხედავ და მას მეტი დიდ დანაშაულად მიმაჩნია ასეთ საქმეში მონაწილეობის მიუღებლობა. ღრმად-მოფიქრების დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ მუშა ხალხის პროგრამის გამომხატველი არის როგორც სიტყვით, ისე საქმით რევოლუციონური პარტია მემარცხენე სოც.-ფედერალისტებისა. ეს პარტია შეგნებულ და პატიოსან მუშების და გლეხების პარტიაა. სიამოვნებით ვსტოვებ ჩემს გულ-გრილობას პოლიტიკისადმი და აღტაცებით ვეწერები ს. იუგელის მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა მუშათა ორგანიზაციაში.

ფიცს ვდებ ორგანიზაციის წინაშე, ახალგაზრდული ჩემი მოღვაწეობა არ დავზოგო და [illegible], რომელიც მე შემწევს, მთელი გავუკაფო გზა სოციალიზმისაკენ.

სალამი საქართველოს მემარცხენე სოც. ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას.

ს. იუგელის მთლიანი შრომის სკოლის მასწავლებელი ქალი ანასტასია გაბუჩია ახული.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დაიკარგა ტფ. მე-XI ტეხნიკუმის ბინის წიგნი № 1506 № 212 რაიც ჩაითვალოს გაუქმებულად.
1—1 № 347

პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„ორიანტი“
ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პრ. № 9.
საუკეთესო ნომრები, ვანა, ელექტრონის განათება,
ტელეფონი. სასტუმროსთან რესტორანი
ევროპიული და აზიური სამზარეულოთი, საუკეთესო
მზარეულთა ზედამხედველობით.
საუზმე, სადილი, ვახშამი, სასმელები. სადილები ეძლევა ყველას 2—5½ საათამდე.
143 ფასები დაკლებულია.

ალმასკომის ცენტრალურ სამკურნალოსთან (პუშკინის ქ. № 10)
ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა
კანით და ვენერიულთათვის
განყოფილება. ავადმყოფები მიიღებიან ყოველ დღე 9—10 საათამდე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.
ჯანმრთელობის განყოფილების გამგე გაწაძე № 160 3—3

საქართვ. უმაღლ. ეკონ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კროპოტკინის ქუჩ. № 2.